პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 შაბათი 11 ივნისი № 136 (16876) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია მოწვეულ იქნას 1977 წლის 1 ივლისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 10 ივნისი.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

10 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მრომმადგენლები.

პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე გამოვიდა მოხსენებით — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებასთან დაკავშირებით“.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: გორის ბამბეულის კომბინატის მრთველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. თ. ა. დაღელაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მ. ხინთბა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ი. ლაღიძე, მესტიის რაიონის იფარის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ს. გასვიანი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ს. შულარავი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ო. დ. ქინქლაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — ოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ა. მ. ოვეჩრუკი, მწერალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ბ. აბაშიძე, წიწამურის რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. ა. კოგანაიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ქ. ვ. ლომთათიძე, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ჯ. ალიევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. კაჭარავა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. მ. ბ. ჟურხული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც მთლიანად და სავსებით იწონებს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, და ამტკიცებს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებების სპეციალურ გეგმას.

შემდეგ პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. ბ. ვ. კოლბინისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და რესპუბლიკაში წლის პირველი ნახევრის წარმატებით დამთავრების ამოცანები“;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჯ. ი. პატიაშვილისა — „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების დამატებითი რეზერვების ძიებისათვის ცენტრალური კომიტეტის წევრების ხელმძღვანელობით შექმნილი კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები“;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის ამხ. ხ. ე. ხაბეიშვილისა — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში ზოგიერთი პარტიული კომიტეტის მუშაობის პრაქტიკის შესახებ“;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის ამხ. ო. შ. ქაჯაიასი — „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პარტიული კომიტეტების მუშაობის საკითხები“.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ი. ფაჰმის

10 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ფაჰმი, რომელიც ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ლ. ი. ბრეჟნევის, ა. ა. გრომიკოსა და ი. ფაჰმის ეგიპტის ფარლამენტის საბჭოს ბიუროს სასარგებლო აზრთა გაზიარება გაართა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის ფართო განვითარებისა და პერსპექტივების, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების შესახებ, ავღნიშნეს მხარეთა საერთაშორისო ზოგადი საერთაშორისო პრობლემების.

საუბრის დროს ორივე მხარემ გამოთქვა მოსწონება სსრ კავშირსა და ეგვიპტეს შორის აღდგენილ მეგობრობა და თანამშრომლობა. ამასთან ერთად ხაზი გასმა ეს ორმხრივ ურთიერთობათა ფართოდ განვითარებისა და ეგვიპტეს ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგების პრობლემაზე საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს. მათ დადასტურეს, რომ დიდმნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია 1977 წლის შემოდგომაზე ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლება ამ მიზნით.

ლ. ი. ბრეჟნევმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად იცავს თავის ეროვნულ ინტერესებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ახალი ხალხების სამართლიან საქმეს, უცვლელად ადგას თავის პრინციპულ გეზს. ეგვიპტის მხარემ აღნიშნა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი როლი და მისი, როგორც ჟენევის საზავო კონფერენციის თანათავმჯდომარის, მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის ეთნიკური და ყოველისმომცველი მორეგულირების მიღწევის საქმეში.

ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამკვიდრების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს საბჭოთა კავშირისა და არაბული ქვეყნების თანამშრომლობის გამრავლებასა და ღონისძიებათა კოორდინაციას.

საუბარს ესწრებოდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი და სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. პ. პოლიაკოვი;

ეგვიპტის მხრივ — ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ოსმანი და უ. ალ-ბაზი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. აბუ ზეიდი.

მოლაპარაკება დამთავრდა

10 ივნისს მოსკოვში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ფაჰმის მოლაპარაკება.

საქმიან ვითარებაში გაუზიარეს ერთმანეთს აზრი საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობას და ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლებას. (საკდესი).

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში

21 ივნისს ვარშავაში გაიხსნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 31-ე სხდომა.

მიღწეული მორიგების შესაბამისად სხდომა განიმარტება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების დონეზე.

მიფრინავს „კოსმოს-916“

1977 წლის 10 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-916“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა გააგრძელებს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია მოწვეულ იქნას 1977 წლის 1 ივლისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 10 ივნისი.

სამშობლოს — ჩვენი დამკვრელური შრომა

ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე ციალა ბოლქვაძე ჩაის კრეფის პირველი დღეებიდანვე გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს, ამასთან მხოლოდ პირველი ხარისხის ნედლეულს აბარებს.

შარშან მთელი სეზონის მანძილზე მან სამი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს იგი პირობას იძლევა, რომ სახელმწიფოს ოთხ ტონაზე მეტ ნედლეულს ჩაბარებს.

სურათზე: მოწინავე მეჩაიე ციალა ბოლქვაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დავალება — ვადამდე!

საქართველოს დედაქალაქის მრეწველობის მშრომელთა შეჯიბრების დღიური

საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გულდასმით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. ისინი სამშობლოს უპატაკებენ, რომ ვადაზე ადრე გაანადღვლეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთი თვის დავალება, საიუბილეო წელიწადს ნაკისრი 45 მილიონი ზეგეგმური პროდუქციის ანგარიშში გამოშვებულია 27 მილიონ 316 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

შეჯიბრების ტემპი სულ უფრო ძლიერდება. წარმოების მოწინავენი ამის შესახებ მოგვითხრობენ ამ ინფორმაციებში.

ვიყოთ მხოლოდ მოწინავენი

ჩვენი საწარმო დედაქალაქში პირველი გამოეხმაურა რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას, რომ სოციალისტური დისციპლინა განმტკიცებით, პასუხისმგებლობის ამაღლებით მივაღწიოთ ყველა საამქროს, უბნის, ყოველი ჩამორჩენილი მუშაკის დაწინაურებას.

ვალდებულებას პირნათლად ვასრულებთ. ახლა ჩვენს კოლექტივში თითქმის აღარ არიან ჩამორჩენილები, მაღალია საწარმოო დისციპლინა და ეპრიალი პასუხისმგებლობა. ეს უფრო კარგად გამოჩნდა დღეს, როცა ერთსულოვნად განვიხილეთ და მოვიწონეთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. კონსტიტუციის პროექტის განხილვისას გამოჩენილი ენთუზიაზმი ჩვენ, კოლექტივის მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებაზე მეტყველებს.

მე და ჩემი ეულეგები „პირადი დაღლილ“ მოპოვებისათვის ვიბრძოდით და ეს საპატიო უფლება ამ დღეებში მივიღეთ.

ტ. გულაშვილი,
დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი.

დამრიგებლობას ფართო გზა

ყლიდან წლამდე იხრდება ჩვენი საწარმოს სამძლავრე. ამიტომ ფეიქართა დიდი კოლექტივი მუდამ ახლის ძიებაშია, რომ გადაჭრთობენ ზონაში მუშაობას დაეუფლოს და ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე გადიდოს პროდუქციის წარმოება.

ეფიქრობთ, ამ მიზნის მიღწევა დამრიგებლობის ფართოდ გაშლით გახდება შესაძლებელი. და ნოვატორმა მუშებმა გადაეწყვეტეთ საწარმოს რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური ახალგაზრდა მუშა აღვზარდოთ.

ამასთან ვალდებულება ვიკისრეთ ყოველ ცვლაში 350-400 კილოგრამი ნარჩენი გამოვუშვათ, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე აღრე ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებდა.

დ. კალანდაძე,
მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მრთველი.

10 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

საბჭოთა ადამიანები დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში განიხილავენ, ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

„ძირითადი კანონის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილ კრებებზე, — წერს გაზეთი მოწინავე წერილში „დიდი მაშტაბის სამუშაო“, — ისმება ბევრი საკითხი, რომლებიც ეხება ამა თუ იმ სიძნელესა თუ პრობლემას, ნაკლს წარმოებასა და ყოფა-ცხოვრების სფეროში. საჭიროა დახასუოებული პასუხი გავცეთ ამგვარ საკითხებს, ოპერატიულად და კონკრეტულად გამოვეხმაუროთ კრიტიკას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა შექმნან ყველა არბით მოსული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, განზოგადების მწყობრი მექანიზმი, გააძლიერონ ყურადღება მათი განხილვისადმი, დროულად გამოეხმაურონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობაში ხარვეზების შესახებ მიღებულ სიგნალებს“.

„ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“ — ასეთი ანშლაგით გაზეთი მთელ გვერდს უთმობს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვას. ლენინგრადში, უზბეკეთსა და ესტონეთში გაიმართა საოლქო პარტიული ორგანიზაციისა და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებები, სადაც განხილულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები. გვერდში გამოქვეყნებულია კრებების ანგარიში სათაურებით „ხაზოგადოების ინტერესები თვითეულის ინტერესია“, „ფიქრებისა და საქმეების ერთიანობა“.

რუბრიკით „თეორიის საკითხები“ მკითხველი გაეცნობა ლ. ვოზნესენსკის ვრცელ სტატიას — „საბჭოთა საზოგადოების დინამიზმი“.

ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების დიდ როლზე შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში, მათს წვლილზე სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და განვითარებაში მკითხველს ესაუბრება „პრავდის“ კორესპონდენტი ვ. ბეკეტოვი წერილში „შემოქმედების კრიტერიუმი“.

მრავალფეროვანია საერთაშორისო ცხოვრების ამსახველი მასალები, რომლებიც გაზეთის მოოთხე-მეზუთე გვერდებზეა დაბეჭდილი. მკითხველს ყურადღებას მიიპყრობს „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველის გ. რატიანის წერილი „ნავთობი, ატომი და პოლიტიკა“.

კორესპონდენციიდან „ელექტროგრადი სოკოლნიკებში“ მკითხველი შეიტყობს, რომ მოსკოვის „სოკოლნიკების“ პარკში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა „ელექტრული მოწყობილობა და ელექტროგადამცემი ხაზები“ — „ელექტრო-77“.

ანყოფილებაში „ხელოვნების დღიური“ გაზეთი წერს, რომ თბილისში გაიხსნა გამოჩენილი საბჭოთა მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ხორავის სახლ-მუზეუმი, რომლის ექსპონატებს წითელ ზოლად გასდევს ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთება.

საინტერესო კორესპონდენციებია დაბეჭდილი რუბრიკებში: „შემოხვევის ადგილიდან“, „საზაფხულო მარშრუტებით“, „შემოხვევები“.

ПРАВДА

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გარეგნული იერსახის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გარეგნული იერსახის მდგომარეობის საკითხი.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში, აღენიშნა, ნათქვამია, რომ საბინაო-სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენებლობის მოცულობის ზრდის შედეგად მკვეთრად იცვლება რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სასოფლო დასახლებულობის ტიპების გარეგნული იერსახე. ბოლოდროინდელ წლებში მაღალ არქიტექტურულ-მხატვრულ დონეზე ამენდა მთელი რიგი სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მზრუნველობისა და ყურადღების, ქალაქისა და რაიონული ცენტრების მოქალაქეთა ღონისძიებათა განხორციელების მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საჩხერეს, ბაღდათის, ჭიათურის, ფოთის, ზესტაფონის, გურჯაანისა და ბეჟანის სხვა დასახლებული პუნქტების ტიპიერული იერსახე.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი საცხოვრებელი რაიონების მასობრივ გარაჟენაციებს, რომელიც ძირითადად ქალაქების იერსახეს განსაზღვრავს, ახასიათებს მონოტონურობა და ერთფეროვნება. ინდუსტრიული საბინაო მშენებლობა შეზღუდული რაოდენობის სახლების ტიპობრივი პროექტების მიმდევა სერიების პირობებში ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ერთფეროვნი გარაჟენიანების წინამძღვრებს ქმნის. რესპუბლიკის დედაქალაქშიც კი არ არის არც ერთი საცხოვრებელი უბანი და მიკრორაიონის, ახალშენებლობათა ერკვლივ კეთილმოწყობილი ტერიტორიის სრული არქიტექტურული ანსამბლი.

ძველი უბნების რეკონსტრუქციის და ახალი რაიონების გარაჟენიანების დაპროექტების დროს ეროვნული ყურადღება არ ეთმობა პარკების, ბაღების, ბულვარებისა და ხეივნების გაშენებას. ქალაქები თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ჭიათურა, სამტრედია. მარნეული და სხვები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ საერთო საარგებლობის მწვანე ნარგავების რაოდენობით საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

აღნიშნეს რა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გარეგნული იერსახის მდგომარეობაში არსებული ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი, აბასიანთებს მონოტონურობა და ერთფეროვნება. ინდუსტრიული საბინაო მშენებლობა შეზღუდული რაოდენობის სახლების ტიპობრივი პროექტების მიმდევა სერიების პირობებში ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ერთფეროვნი გარაჟენიანების წინამძღვრებს ქმნის. რესპუბლიკის დედაქალაქშიც კი არ არის არც ერთი საცხოვრებელი უბანი და მიკრორაიონის, ახალშენებლობათა ერკვლივ კეთილმოწყობილი ტერიტორიის სრული არქიტექტურული ანსამბლი.

ძველი უბნების რეკონსტრუქციის და ახალი რაიონების გარაჟენიანების დაპროექტების დროს ეროვნული ყურადღება არ ეთმობა პარკების, ბაღების, ბულვარებისა და ხეივნების გაშენებას. ქალაქები თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ჭიათურა, სამტრედია. მარნეული და სხვები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ საერთო საარგებლობის მწვანე ნარგავების რაოდენობით საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

აღნიშნეს რა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გარეგნული იერსახის მდგომარეობაში არსებული ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმშენს, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიონებს, აფხაზეთისა და აჭარის სსრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაავალეს:

„უზრუნველყონ დაგეგმვა და მშენებლობა ზუსტად გენერალური გეგმებისა და დაგეგმარების პროექტების შესაბამისად. აგრეთვე საცხოვრებელი სახლებით გათლების, კაბმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის ობიექტებით ტერიტორიის კომპლექსური განაშენიანების გათვალისწინებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმინ სრული არქიტექტურული ანსამბლების შექმნის აუცილებლობას;

ყოველწლიურად გამოიყონ სახსრები და ლიმიტები რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების, განაშენიანების პროექტების, მცირე არქიტექტურული ფორმების შემუშავებისათვის, კეთილმოწყობის, გაშენებისა და განთვის, პარკების, სკვერებისა და ხეივნების რეკონსტრუქციისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმინ დაბების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კარმიდამოთა კომპლექსური ექსპერიმენტულ - საჩვენებელი მშენებლობის შემდგომ განვითარების.

საქართველოს სსრ სახმშენმა სისტემატურად უნდა შეამოწმოს ქალაქებისა და სოფლების დამტკიცებული გენერალური გეგმების მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობა, ამასთან უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭოს საცხოვრებელი რაიონებისა და მიკრორაიონების კომპლექსური განაშენიანების საკითხებს; შეიმუშაოს და დაამტკიცოს საცხოვრებელი სახლების ფასადების მოპირკეთების ნარაბატების კატალოგები, ქალაქების საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური პროექტების ნარიანტები, ამასთან გითვალისწინოს სხვადასხვაგვარი მოცულობისა და მრავალფეროვანი პლასტიკის კომბინაციათა შექმნა; შეიმუშაოს სოფლად საკარმიდამო ნაკვეთების ტიპობრივი პროექტების ვარიანტები, რისთვისაც გითვალისწინოს რაიონების ტრადიციები და თავისებურებანი, შესთავაზოს ისინი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს; დაიჩაროს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების, ვენერალური გეგმების შემუშავების დამთავრების სამუშაოები; მიიღოს ზომები, რათა ინდუსტრიული საბინაო მშენებლობა დროულად უზრუნველყოს საცხოვრებელი სახლების ახალი, უფრო სრულყოფილი პროექტებით; უფრო ფართოდ დანერგოს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის კონკურსების მოწყობა.

სერიული საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული იერსახის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მოვალეა სახლთსაშენებელ კომბინატებთან შექმნას არქიტექტურულ-საკონსტრუქტორო ჯგუფები.

საქართველოს სსრ სახმშენს დაევალა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებთან ერთად განიხილოს და დაამტკიცოს საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების, ლოჯიების, ეივნების, პარკეული სართულების მოპირკეთების ვარიანტები, მცირე არქიტექტურული ფორმების პროექტები და ფართოდ დანერგოს ისინი დაპროექტებასა და მშენებლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მაკურად მოსთხოვეს საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს არ დაუშვან მშენებლობა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების კარგვა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმინ გზებისა, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობას, გამწვანებასა და განათვებას, არქიტექტურული ფორმების შექმნას, ძველი ძეგლების დაცვას; შეიმუშაონ და დაამტკიცონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა კეთილმოეწყოს და გაიწმინდოს ქუჩები, მოედნები, სკვერები, საათანადო წესრიგში იქნეს მოყვანილი, საკარმიდამო ნაკვეთები და ეზოები, გარემონტდეს მესერები. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ფასადები, ძველი ძეგლები, ამასთან აღინიშნოს ჟოველი ღონისძიების კონკრეტული ვადები და შემსრულებლები; სისტემატურად ჩაბარდნ მოსახლეობის ფართო მასები, მოსწავლეები, ახალგაზრდობა მაგისტრალების, ქუჩების, უბნებისა მოედნების, სკოლის ტერიტორიის, სპორტული მოედნების კეთილმოწყობისა და გამწვანების, სოფლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გარეგნული იერსახის სამუშაოთა შესრულებაში; არ დაუშვან ფასადების, ლოჯიების, ეივნების, მათი ფერის თანთანებერი შეცვლა, ინდივიდუალური ბოსტნების გაშენება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საცხოვრებელი ფონდის ტერიტორიაზე; გააჩაონ შეჯიბრება სოფლების, უბნისა და ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის; ჩაბარდნ ამ ღონისძიებათა განხორციელებაში. დეპუტატები, ახალგაზრდობა, მშრომელთა აქტივი; შეიმუშაონ საკარმიდამო ნაკვეთის, კეთილმოწყობილი სკვერის, მიკრორაიონის ყოველდღიური კონკურსების ჩატარების პირობები.

დადგენილებაში დასახულია ეგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გარეგნული იერსახის შემდგომ გაუმჯობესებას.

(საქინფორმი).

ᲕᲘᲠ ᲠᲘᲗᲘ ᲛᲘᲒᲔᲑᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ, ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ?

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲕᲘᲥᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ

ᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ Უ. ᲮᲐᲠᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ

ᲞᲐᲠᲢᲯᲒᲣᲤᲝᲠᲒᲘᲡ ᲤᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ საგაზეთო წერილის წაკითხვა, რომელშიც აღწერილია მუშური ცხოვრება, წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, პრობლემები, ჩემთვის მუდამ საინტერესოა. ამიტომაც ამ დღეებში ჩვენი პარტიული ჯგუფის წევრებთან ერთად ინტერესით გავეცანი „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილს სათაურით „ველის ჯარნახით, საქმის ცოდნით“, რომლის ავტორია თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშენ.ქარხნის ელექტროსამნქანო საამქროს ამწყობი უბნის ბრიგადირი, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი უ. ხარატიშვილი.

სტატიაში აღწერილი პარტიული ჯგუფის საქმიანობა, მისი კომუნისტების ცხოვრება და საფირალი საოცრად წაგავს ჩვენი საწარმოს — ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ამ პარტიული ჯგუფის დიდ საზრუნავს, რომლის ხელმძღვანელიც მე ვარ.

ჩვენი ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეა ქალაქში. მისმა შრომითმა კოლექტივმა მეათე ხუთწლეულის მეორე წლის განვლილი ხუთი თვის დავალებანი გადაჭარბებით გაანაღდა. ამ ხნის მანძილზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გავუგზავნეთ 9 იუნლენი ზედგამითი საკოქსე კონცენტრატი, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება ეგემასთან შედარებით გაეზარდეთ 2.5 პროცენტით, ტონა კონცენტრატის თვითღირებულება შევამცირეთ 26 კაპიკით, რეალიზებულია ზედგამითი 96 ათასი მანეთის მოდალხარისხოვანი პროდუქცია. დიდ. კანონიერ სიამაყეს გვგვრის იმის შეგრძნება, რომ ამ საამეურნეო მიღწევებში ჩვენი ცვლის 15-კაციანი პარტიული ჯგუფის წვლილიც არის — ფაბრიკის სამეურნეო წარმატების ნახევარზე მეტი ხომ ჩვენი ცვლის „ნგაროშზე“ მოდის.

წარმატებები გვაქვს, მაგრამ ეს ზღვარი როდი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო თარიღის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო იზრდება ტყიბულელ ქვანახშირის გამამდიდრებელთა ენთუზიაზმი და შემართება. ჩვენმა კოლექტივმა ერთსულოვნად აიტაცა ქუთაისელთა და დედაქალაქის პირველი მაისის შრომელთა თაოსნობა დეკემბერი: „საიუბილეო წელს — არცერთი ჩამორჩენილი საწარმო!“ შედეგებიც თვალსაჩინოა. ყოველდღიურად მიგვლია შრომითი წარმატებები, მცირდება ჩამორჩენილი უბნების ხაცხვი.

წარმოებაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი, გადაუჭრელი პრობლემა და საზრუნაგია, ძალიან ბევრია რეზერვები, რომელთა ამოქმედება და სრულიად გამოყენება თვალსაჩინოდ აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, გაზრდის მის ხარისხს, უფრო ეფექტიანს გახდის ჩვენს შრომას. ვინ უნდა აზრუნოს, უპირველეს ყოვლისა, ყოველივე ამის მოსაგვარებლად, თუ არა კომუნისტებმა, პარტიულმა ჯგუფებმა?

ჩვენი პარტიული ჯგუფის წევრები კარგად გრძნობენ თავიანთ დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას ამ საქმეში, მთელი სერიოზულობით ეკიდებიან საწარმოო გეგმების შესრულებისა და სხვადასხვა მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხის დროულად გადაწყვეტის საქმეს. პარტიული ჯგუფის კრებაზე ხშირად ამ საკითხების ირგვლივ ცხარე კამათი იმართება. ზოგიერთი ჩვენი კომუნისტი, სამედნიეროდ კი მათი მეტად მცირე ნაწილი, ასე მსჯელობს: სახელმწიფო გეგმა სრულდება, ჩვენს გამოშვებულ პროდუქციაზე მომხმარებელი — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რეკლამაციას არ გაგზავნის. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნა ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ სრულდება. არის თუ არა ეს ასე? გვაქვს თუ არა უფლება გულდამშვიდებული ვიყოთ, მიღწეული სამეურნეო წარმატებებით დავტკბეთ? სრულიადაც არა, — ამბობს პარტიული ჯგუფის წევრთა უმრავლესობა. ასეთ საკითხებს ჩვენი პარტიული ჯგუფი სისტემატურად განიხილავს თავის კრებებზე.

განა ყოველთვის ვმუშაობთ გამართულად, უშუნოდ, მაღალხარისხოვნად? რა თქმა უნდა, არა. ზოგჯერ ცვლაში იჩოქვეა ქვანახშირის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესები, რის შედეგადაც ვიებულოთ მაღალნაცრიან კონცენტრატს, რაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის გამოუსადეგარია. ამიტომ ვახდენთ მის განმეორებით გამდიდრებას.

მოვიყვან ერთ მაგალითს. 21 მაისს ჩვენმა ცვლამ 240 ტონა წუნდებული საკოქსე კონცენტრატი გამოუშვა.

ეს საგანგაშო შემთხვევა, რომელიც მთელ ფაბრიკაში გახმაურდა, ჩვენთანაც არის, შარშან ფაბრიკის მთავარ კორპუსში დადგეს წვრილი კლასის ქვანახშირის გამამდიდრებელი ახალი, მძლავრი, მაღალი წარმადობის დამლეკი მანქანა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ფაბრიკის მუშაობის ეფექტიანობა, გაიუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. წლეულს ზამთარში მივიღეთ მეორე ასეთივე მანქანა, მაგრამ რატომღაც გაჭიანურდა მისი დამონტაჟება. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ასეთი საუკეთესო რეზერვი დღესდღეობით საფთანადო პირთა უპასუხისმგებლობის გამო გამოუყენებელია!

მე მთლიანად ვეთანხმები უ. ხარატიშვილს იმაში, რომ პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელები მთლიანად მართლაც ვერ ვერკვევით ჩვენს ფუნქციებში, ვერ ვახერხებთ ჩვენი ძალების დარაზმვას ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რეზერვების ასამოქმედებლად.

ვფიქრობთ, ამ სიძნელის დაძლევაში დიდად დაგეხმარება „კომუნისტის“ ფურცლებზე შემოღებული პარტჯგუფორგის ტრიბუნა. ურიგო არ იქნება, თუ პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელებისთვის პერიოდულად მაინც მოეწყობა ზონალური ოთახი-სემინარები, სადაც მოვისმენთ კვალიფიკაციური სპეციალისტების ლექციებს წარმოებასთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო მრავალ საკითხზე, აგრეთვე პარტიული ცხოვრებისა და მშენებლობის საკანონო საკითხებზე. ეს აუცილებელია, რადგან ხომ ყველასათვის ნათელია, რომ პარტჯგუფები მხოლოდ წარმოების პროცესში წამოჭრილი საკითხების გადაჭრაში მონაწილეობით კი არ უნდა ითვრგლებოდნენ, არამედ ეხმარებოდნენ საამქრო პარტორგანიზაციებსა და პარტიულ კომიტეტებს მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ ჩატარებაში.

პარტჯგუფის ყოველდღიური საზრუნავი ბევრ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხსაც მოიცავს. ამიტომაც საჭიროა, რომ პარტიულმა კომიტეტებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ჩვენი პარტჯგუფორგების სწავლებას, დაგვიხმარონ პრაქტიკული, კვალიფიკაციური რჩევა-დარიგებით, დაეხმარონ, მე ვიტყოდი, ყოველად უფარგისი პრაქტიკა, როცა პარტჯგუფორგებს მეტწილად პარტკომში შეკრებენ მხოლოდ იმისთვის, რათა მორიგი დავალება მისცენ. ხოლო იმაზე, თუ როგორ და უკეთ შეიძლება ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა, გაუჭრობესება, მათ, ძალიან ხშირად, არ ეთათბირებიან. ეს კი მეტად სამწუხაროა და საქმის საზიანოც. ჩვენ ხომ დღენაადგ წარმოების შუაგულში ვტრიალეკთ და ამდენად ყველაზე უკეთ ვამჩნევთ მასთან დაკავშირებულ პრობლემებს!

ასევე კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ, პარტჯგუფორგებს, უფრო ხშირად გვიკითხავდნენ ლექციებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, პარტიის რაიონულ კომიტეტებში ისმენდნენ ჩვენს „ნგაროშებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ გაძლიერდა ჩვენი მუშების საზოგადოებრივი აქტიურობა, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ეს დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს. ახლა, როცა მთელ ჩვენს ქვეყნაში ასე ფართოდ არის გაჩაღებული კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, ჩვენ საშუალება გვაქვს კიდევ უფრო აქტიურად ჩავიბათ ეკონომიკის მართვაში, გავაანალიზოთ ჩვენი მუშაობა, გამოვავლინოთ ახალი შემოქმედებითი ძალები, ავამაღლოთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, მეტი გაქანება მივცეთ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ეკატერინე ბოჰორიშვილი,
ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტრანსპორტიორის მემანქანე, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

60

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲛ დღეებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია პრესაში გამოქვეყნებულმა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტმა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტმა.

ახალი კონსტიტუციის მიღებას განაპირობებს ის ღრმა და პრინციპული ცვლილებები, რაც მოხდა განვლილი ოთხი ათწლეულის მანძილზე. თუ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დროს მხოლოდ სოციალიზმის საფუძვლები იყო შექმნილი, ახლა ჩვენს ქვეყანაში განვითარებული, მოწიფებული სოციალისტური საზოგადოებაა აშენებული.

საგულისხმოა, რომ დროის ამ მონაკვეთში სსრ კავშირის მოსახლეობა 75 მილიონით გაიზარდა. მხოლოდ ეს ნამატი ერთნახევარჯერ აღემატება თანამედროვე ინგლისის ან იტალიის მოსახლეობას. ახლა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი მოსახლეობა რიცხავს 250 მილიონზე მეტია.

ახალი კონსტიტუციის საჭიროებას განაპირობებს ის, რომ ჩვენ საბჭოთა მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი. განვლილი ორმოცი წლის მანძილზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 15-ჯერ და მეტად გაიზარდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალისტური საზოგადოება ამ ხნის მანძილზე ორჯერ და მეტად გადავიდა მოხმარების თვისებრივად ახალ დონეზე.

მაგალითად, თუ მეორე ხუთწლედში (1933-1937 წ.წ.), ე. ი. იმ პერიოდში, როცა მზადდებოდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, სახალხო მეურნეობის მასშტაბით გამოყენებული კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ბალანსი ორ მილიარდ მანეთს უდრიდა, მიმდინარე მეათე ხუთწლედში იგი 627 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ოთხი ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა მოსახლეობის ცხოვრების დონეც. ეი ერთი ფაქტი, მაშინ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 30 მანეთს არ აღემატებოდა, ახლა იგი 150 მანეთს შეადგენს. ხუთჯერ და მეტად ამაღლდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებებისა და შეღავათების გათვალისწინებით გაანგარიშებული ხელფასი. ახლა იგი საშუალოდ ერთ მუშაკზე 200 მანეთს შეადგენს.

ეს წარმატებანი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა მაჩვენებლებთან ერთად, კარგად არის ფიქსირებული ახალი კონსტიტუციის პროექტში.

სიმაღაყის გრძნობას გვგვრის პროექტის დებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური სისტემის საფუძვლად კვლავაც წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრებაა მიჩნეული.

ბინა გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთი თავის მიმართ.

ᲙᲐᲚᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. პროექტის მეორე თავში („ეკონომიკური სისტემა“) აღნუსხული უნდა იყოს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნები და მისი შესრულების გზები. ამ კანონის სრული და ყოვლისმომცველი მოქმედება შეესაბამება თანადროულობას...

2. მეათე მუხლის უკანასკნელ წინადადებაში, რომელიც შეეხება საჯალაქო საბინაო ფონდის სახელმწიფოსადმი კუთვნილების საკითხს, წერია სიტყვა „ძირითადი“. ეფიქრობ უმჯობესი იქნება მის ნაცვლად მოინახოს ისეთი ტერმინი, რომელიც უფრო ზუსტად და სწორად ასახავს საჯალაქო საბინაო ფონდის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის.

3. აჯობებს უფრო დაზუსტდეს მეორე აბზაცში მოცემული წინადადება ქმის შესახებ, რომ „...სახელმწიფო ეზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას“. ჯერ ერთი, საქმე ეხება არა შრომის ნაყოფიერების ჩვეულებრივ ზრდას, არამედ მის გაორეულებულ ზრდას; მეორე, შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობა გარკვეულ კანონს, კანონზომიერებებს ემყარება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

4. ჩვენი აზრით, შესწორებას საჭიროებს მე-16 მუხლიც. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „შრომელთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ საწარმოებისა და გაერთიანებების მართვაში, ამ სახსრების გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული საჭიროებებისა და მატერიალური წახალისებისათვის“. შეიძლება გაერთიანდეს ერთ წინადადებად „ეკონომიკური სტიმულირებისათვის“.

5. მეორმოცე მუხლს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლებების შესახებ, საჭიროა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად (იხ. მუხლი 12), დაემატოს ცნობილი პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“.

კ. ელიზბარაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ტაყულტეტების პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი.

ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ, ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე მდგომმა საქართველოს ხაზოვაო ხანაოსნოს კოლექტივმა ბოლო პერიოდში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. შრომაში მოკოვებული ჩინებული მაჩვენებლების მეოხებით მას ქვეყნის მასშტაბით დარგში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს და ძალღონეს არ ზოგავს მიღწეული პოზიციების განსამტკიცებლად.

ხანაოსნოს მთელი კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ახალ პროექტს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲣ: ტანკერ „ბორჯომის“ ეკიპაჟის წევრთა ერთი ნაწილი ეცნობა კონსტიტუციის ახალ პროექტს.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ პროექტში აღბეჭდილია სახელმწიფოს ზრუნვა სახალხო განათლებისათვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტის სპეციალური თავები ეძღვნება სსრ კავშირის მშვიდობიანი მოყვარეულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას და სოციალისტური სამშობლოს დაცვას.

მადლობის ვრძნობა ეუფლება მთელ პედაგოგიურ საზოგადოებრიობას, მასწავლებელთა არმიას, როცა ამ დოკუმენტებს ეცნობიან. არავის იგი არ სჭირდება მშვიდობა, როგორც სოფლას. რაც ბაღისათვის დიდი გვალვა ან წყალდიდობაა, სოფლისათვის იგივეა ომის საფრთხე, რომ ატომიფერი ვთქვათ თვით ომზე.

დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმ შეუპოვარი, ტვინმარიტად ლენინური ზრუნვისათვის, რასაც ქვეყნად მშვიდობის შესანარჩუნებლად იჩენს. ამ ზრუნვისათვის ჩვენი — პედაგოგთა პასუხი იქნება უკეთ ვასწავლოთ მოწაფენ თაობას სამშობლოს სიყვარული, ვასწავლოთ მეცნიერება, ცხოვრება და ხალისისათვის თავდადება. ამასვე მოგვიწევდეს საქართველოს სსრ მასწავლებელთა ამასწინანდელი IV პლენუმი.

ჩვენის აზრით საჭიროა კონსტიტუციით დაკანონდეს სასკოლო სწავლების ასაკი. უფლოეს დრეში უკვე მთელს საბჭოთა კავშირში სასკოლო სწავლება დაიწყება 6 წლის ასაკიდან და საშუალო სკოლა იქნება 11-წლიანი. როგორც ამის შესახებ აღნიშნულია განათლების ხელმძღვანელი ორგანოებისა და მეცნიერთა მთელი რიგ პროგნოზიანი ოფიციალურ-ტენდენციებში. ამასთან მეცნიერულად საკმაოდ დასაბუთებულია და პრაქტიკით შემოწმებულ უნიკალურ თვალსაზრისი იმის შესახებაც, რომ საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების ინსტიტუტმა უნდა მოიცავდეს დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო, სკოლას 1-8 კლასებით და მასზე დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფტექნიკურ და სპეციალურ საშუალო სკოლებს.

ამის შესაბამისად ჩვენ ვაყენებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონსტიტუციის 45-ე მუხლში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება-დამატება.

დ. ლორთქიფანიძე,
სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ᲩᲔᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლის დებულებას მეთანხმებიან. ამასთან მინდა ვთქვა, რომ, რადგან საერთო-სახალხო სახელმწიფო გვაქვს, უკეთესი ხომ არ იქნებოდა კონსტიტუციის 33 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საბჭოთა მოქალაქეობა ერთიანია მთელი სსრ კავშირისათვის. ყოველი მოქალაქე რესპუბლიკის მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა, რომელსაც უფლება აქვს იცხოვროს და იშრომოს ამ რესპუბლიკაში, ქალაქში თუ რაიონში, სადაც მისთვის სასურველია.“ შემდეგ კი როგორც პროექტშია.

ამ შესწორების აუცილებლობას ცხოვრება გვიკარნახებს. არც თუ იშვიათია შემთხვევა, რომ პიროვნება საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის დროს ბევრ წინააღმდეგობას აწყდება, რის გამოც სამართლიან საყვედურებს გამოთქვამს.

შ. მირზაძე,
ჭიათურის პროკურორი.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ კონსტიტუციის პროექტი მდიდარია დებულებებით საბჭოთა მოქალაქის უფლებათა შესახებ. მე მინდა კონკრეტულად შეეხო პროექტის 42-ე მუხლს, სადაც სსრ კავშირის მოქალაქეთა ჯანმრთელობის უფლების დაცვაზეა ლაპარაკი. **ვფიქრობ აქ ურიგო არ იქნება, თუ ყურადღება გამახვილდება მედიცინის მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, კერძოდ ის, რომ ექიმი მოვალეა პირველი ზრუნვადეს ჯანმრთელობის დაცვის აღმავლობისათვის.**

ასეთი დამატება, ჩემის აზრით, ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვაზე მოქალაქეთა უფლებების მტკიცედ განხორციელებას.

მ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ,
ექიმი-პედიატრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ინტერნაციონალური ტრადიციები აქვს მახარაძის რაიონს. ჯერ კიდევ 1905 წელს ოზურგეთის მაზრის რევოლუციური გლეხობის გამოსვლებმა შექმნა შესანიშნავი დეპუტატების „ბახვის მანიფესტის“ სახელწოდებით, რომელიც ლენინურ გაზეთ „ვპერიოდში“ გამოქვეყნდა. მასში გლეხობის რევოლუციური მოთხოვნებთან ერთად მკაფიოდ გამოხატულია ჰპოვა მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეებმა.

მახარაძელები თვალისჩინივით უფრთხილდებიან ამ ტრადიციებს, განამტკიცებენ და ამრავლებენ მათ. განსაკუთრებით საგრძნობია ამ მხრივ მუშაობის გამოცოცხლება სკკპ XXV ყრილობის შემდეგ, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის პრობლემას. ამავე ფორიმზე აღინიშნა ის დადებითი როლი, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ შეასრულა ჩვენში მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებაში.

მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაში ქმედითს დახმარებას უწევს პარტიის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო „**ლენინის დროშა**“, რომელიც აღწერეს ამ ერთ-ერთი მთავარი თემის თანმიმდევრულ, მიზნასწრაფულ გაშუქებას. გამოქვეყნებულ მასალებში იგი ცდილობს უჩვენოს ის ახალი ღონისძიებანი, რომლებსაც მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გასაუმჯობესებლად. ყოველდღიური პრაქტიკა მდიდარ მასალას აძლევს ბაზეთს გაამუქოს ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები, იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა და რომელთა შესრულების გზები დაკონკრეტა შარშან შემოდგომაზე თბილისში გამართულმა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ.

გაზეთში, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ინტერნაციონალური აღზრდის ისეთი მნიშვნელოვანი და გამოცდილი ფორმა, როგორიც სოციალისტური შეჯიბრებაა. ეს განსაკუთრებით ითქმის მახარაძისა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონების მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელსაც მომავალ წელს ორმოცი წელი უსრულდება. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებას მაღალი შეფასება მისცა სკკპ XXIV ყრილობამ, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 1973 წლის 26 ივლისს ქ. კიევში წარმოთქმულ სიტყვაში ერთ-ერთ სანიმუშო მაგალითად დაასახელა ხერსონის ოლქის კოლმეურნეთა შეჯიბრება, გამოცდილების სისტემატური გაზიარება და მტკიცე მეგობრობა მათს ქართველ თანამოძმეებთან.

— 39 წელია კაშკაშებს მახარაძელ და გენიჩესკელ მშრომელთა მეგობრობისა და შეჯიბრების ჩირაღდანი, რომელიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ორივე რაიონის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაზე, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე. ამ მეგობრობამ ბრწყინვალედ ჩაუბარა დროის გამოცდა, გაუძლო ომის მკაცრ განსაცდელს, გამოიწვრთო გმირული ბრძოლისა და შრომის ბრძოლაში. — წერს საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ე. მალაზონია გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში „მეგობრობის დიდი ძალა“.

ქართველ და უკრაინელ მშრომელთა მეგობრობა სულ უფრო იკრების ძალას, ახალი შინაარსით მდიდრდება და ურთიერთ პრაქტიკულ დახმარებად გადადის. ორივე რაიონში კარგანანია გაჩაღეს შეჯიბრება დეკეზით: „სოციალისტური შეჯიბრებისა და მეგობრობის 40 წლისთავს — 40 კეთილი საქმე“.

მომავალ წელს 40 წელი უსრულდება აგრეთვე ნატანებელ კოლმეურნეობა და მოძმე სომხეთის ჰოქტემბერიანის რაიონს სოფელ ნალბანდიანის მშრომელთა შეჯიბრებას, რომელმაც აგრეთვე ღრმად გაიდგა ფესვები.

დიდ ინტერესს აღუძრავს მკითხველს გაზეთ „ლენინის დროშის“ სპეციალური გვერდები, რომლებიც საბჭოთა უკრაინასა და სომხეთს მიეძღვნა, აგრეთვე „ზარი კომუნიზმს“ შემაცველი გვერდი.

გაზეთი დროდადრო უპრეზიდება მრავალეროვნებიან შრომითს კოლექტივებს, რომლებიც ინტერნაციონალიზმის ცოცხალ მაგალითებს წარმოადგენენ. იგი სამართლიანად წერს, რომ თვითეული შრომითი კოლექტივი, რომელიც ფაქტიურად ადგიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის პირველადი უჯრედია, ინტერნაციონალური აღზრდის ნამდვილ სკოლად, უნივერსიტეტად, აკადემიად უნდა იქცეს. ასეთი აღზრდისათვის მუშაობა სკოლის მერხიდანვე უნდა დაიწყოს.

ფართო გამოხმაურება ჰპოვა ხალხთა ლენინური მეგობრობის ლათუურის ხალხთა უნივერსიტეტის გათვალთრებული მეცადინეობის მონაწილეთა მიმართვამ რაიონის მშრომელებისადმი, დევიზით: „მეგმიანი ზარუნვა ინტერნაციონალურ აღზრდას, ინტერნაციონალიზმის ძალა — მეათე ხუთწლედს!“, რომელიც „ლენინის დროშაში“ გამოქვეყნდა. პარტიის მახარაძის რაიკომის მბეჭდავ მოიწონა ლაითურელთა ეს თაოსნობა და დაავალა რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ მას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ კომპლექსური ღონისძიებანი მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით იდეოლოგიური მუშაობის მდიდარ საშუალებებს მიმმატება ხალხთა ლენინური მეგობრობის სახალხო უნივერსიტეტები, რომლებიც ყველა მრავალეროვან ტერიტორიებ, ინდუსტრიულ ცენტრებში, ინტერნაციონალურ ოჯახებში, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ 15 ეროვნების და ეროვნების წარმომადგენლები, — მოუთხრობენ მკითხველს გაზეთის ფურცლებზე ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ლომთათიძე — ხალხთა ლენინურ მეგობრობასა და ინტერნაციონალიზმს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ნასაკირალელები წლების მანძილზე მოწინავეთა რიგებში არიან, რესპუბლიკურ გარდამავალ წითელ დროშას ფლობენ და მაღალი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი დაამსახურეს.

ერთი საგულისხმო დეტალიც: სოფელ „ბახვის მარჭისს სახელობის კოლმეურნეობის კრების მონაწილეებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად კოლექტიურად შეიმუშავეს და დაამტკიცეს კომუნისტური შრომის ვანაწესი, რომელსაც „ბახვის ახალი მანიფესტი“ უწოდეს ისტორიულ „ბახვის მანიფესტთან“ მემკვიდრეობითობის ნიშნად, და რასაც მკითხველი გაზეთის ფურცლებიდან გაეცნო.

„ლენინის დროშა“ პროპაგანდას უწევს იმ მრავალფეროვან ფორმებს, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები იყენებენ მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის — ლექციებს, საუბრებს, მოხსენებებს, კონფერენციებს, თემატურ და ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოებს, იქსკურსიებს მეგობრობის მარშრუტებით და სხვ.

გაზეთის მხედველობიდან არ რჩება ნაკლოვანებანიც. მის ერთ-ერთ ნომერში გაკრიტიკებულია ურეკის ციტრუსების, ნარეკის ჩაის საბჭოთა მეურნეობები და რაიონის მთელი რიგი სხვა კოლექტივები, სადაც მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის მიზნით ჯერ კიდევ არასაკმაო ღონისძიებები ხორციელდება.

საბჭოთა ადამიანების, „ლენინარეს ყოველისა „ი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით ახლა, როცა ბურჟუაზიული პროპაგანდა ათასგვარ ჭორს ავრცელებს და ყალბ დოკუმენტებს თითხნის იმისათვის, რომ დაამციროს საბჭოთა ინტერნაციონალიზმის მნიშვნელობა, სანელი გაუტეხოს.

ინტერნაციონალური აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს და პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციებს მუდმივ ზრუნვას მოითხოვს. ამიტომ გაზეთმა „ლენინის დროშამაც“ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ყურადღება ყოველივე იმისადმი, რაც მიმართული იქნება ინტერნაციონალიზმის, ცხოვრების საბჭოური წესის, ახალი ტრადიციებისა და წესჩვეულებების ცხოვრებაში დასამკვიდრებლად.

**Ზ. ᲖᲣᲙᲐᲙᲘᲨᲕᲘ

19 ☭ ივნისი

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

გულითადად, საქმიანად

დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან

რესპუბლიკაში დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ეწყობა ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან. ისინი ახალი ძალით ადასტურებენ პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, რესპუბლიკის მშრომელთა მისწრაფებას, რომ შემოქმედებითად გადაწყვიტონ კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები, რომლებიც დასმულია მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში. დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებისადმი მძაღლნილი კრებების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი აწყვეს კანონიერ სიამაყეს დიადი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. შეხვედრებზე ორატორთა გამოსვლებს ახასიათებს ხალხმწიფო მდგომა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი. მხურვალედ იწონებენ რა კონსტიტუციის პროექტს, ისინი აცხადებენ, რომ არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა წარმატებით შეასრულონ ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, პარტიის ზრუნვას დამკვრელური შრომით უპასუხებენ.

თბილისი. ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს მშრომელი ადამიანი. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 223 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრამ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატ ალეკსანდრ ლეონიძის ანდერძის ასრულებლად. ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად საქალაქთაშორისო სადგურის ტელეფონისტს გულიკო ივანეს ასულ ბოდოლაშვილს.

ჩოხატაური. გულითადად ჩაიარა პირველი ჩაისუბნის № 34 საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა შეხვედრამ ჩოხატაურის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის გმირთან ალეკო ლეკაძე-ძე წიკლაურთან.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუფრთხილა არჩევნების დღეს ხმა მისცენ დეპუტატობის კანდიდატს პ. წიკლაურიძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა პ. წიკლაურიძემ სულითა და გულით გადაუხადა მადლობა ამომრჩეველს ესოდენ დიდი პატივისცემისათვის და განაცხადა, რომ შეეცდება ამ ნდობას ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხოს.

(საქინფორმი).

უკეთ მოვამზადოთ მექანიზატორები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობისა და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობისა და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მოისმინა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრის დეპუტატ მ. დავითაშვილის მოხსენება „რესპუბლიკაში ახალგაზრდა მექანიზატორთა კადრების მომზადებისა და მათი გამოყენების მდგომარეობის შესახებ".

მომხსენებელმა და სხდომაზე გამოსულმა ორატორებმა დეპუტატებმა ო. ვარძელაშვილმა, ნ. ვასაძემ, ი. თავაძემ, ა. კვესაძემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კადრების მომზადების სამმართველოს უფროსმა კ. ბაქრაძემ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" კადრების სამმართველოს უფროსმა ა. ბერიაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიონალტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებლების სამმართველოს უფროსმა ა. ჩიჩილაშვილმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში ამ საქმეში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული.

ამ დარგის კადრების მომზადებისათვის სერიოზული მუშაობა გასწიეს გურჯაანის, მარნეულის, ბოლნისის, მახარაძის, ზუგდიდის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, დმანისის, მცხეთის, დუშეთის, ქარელის, ხაშურის, ლანჩხუთის, ცხინვალის რაიონების, ჭალიგწყალტუბოს ზონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, „საქსოფლტექნიკის" გაერთიანებებმა და განყოფილებებმა, ადგილობრივი ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „აფხაზსოფლტექნიკამ", სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველომ და „საქსოფლტექნიკის" საოლქო გაერთიანებამ.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში.

წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის კომპლექსი არ შეესაბამება არსებული კონტინგენტის მოთხოვნებს. აქ 360 მოსწავლის ადგილზე სწავლობს 630 კაცი, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 42 კაბინეტ-ლაბორატორიის ნაცვლად არის 27. აკლიათ ლეთონსაჭრელი ჩარხები და სასწავლო დანადგარები, სასწავლო ინვენტარი და ტექნიკა მოძველებულია. მოსწავლეთა კონტინგენტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სასადილო, საერთო საცხოვრებელი.

ზალკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მექანიზაციის პროფილის მოსწავლეთათვის 26 კაბინეტ-ლაბორატორიის ნაცვლად აქვთ 5 კაბინეტ-ლაბორატორია, არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო მომსახურებაც.

სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადებაში ადასებული ზემოთ აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებანი ძირითადად ადასტურებს იმით, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა", რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებ ყოველთვის წარმატებით როდი წყვეტენ ამ პრობლემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მექანიზატორთა კადრების მომზადებას.

კომისიების მუშაობის შედეგები შეიჯამა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ს. ლორმანიძემ.

განხილულ საკითხზე კომისიებმა მიიღეს დადგენილება.

მუდმივი კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. დ. დ. მაღალაშვილი — მინისტრის მოადგილედ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მმართველად;

ამხ. ვ. ა. ფირანიშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. შ. ა. ლუხუტაშვილი — საქართველოს სსრ ჯვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. ე. ბ. ზაუტაშვილი — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ტ. ლ. წერეთელი გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საკავშირო ტელეტაიპი გაგზავნილია

მსოფლიოს ამბები

ისტორიული დოკუმენტი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია აზიაზვარგარეთის საზოგადოებრიობასა და პრესაში. კომენტარში აღნიშნულია, რომ საბჭოეთის ძირითადი კანონის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ მონაპოვრებს ამკვიდრებს, ღრმად არის გაშუქებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში.



პოლონეთი. მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება ისეთი მოვლენაა, რომელიც კიდევ დიდხანს მიიპყრობს მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის უურადღებას. ეს გასაგებიცაა: საბჭოთა კავშირი ხომ უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე მსოფლიოსა და საერთაშორისო ცხოვრებაში, შექმნილი აქვს ახალი წყობილების მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება. წერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ტრიბუნა ლუდუ". ახალ კონსტიტუციაზე მუშაობის საბოლოო ეტაპი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი ზეიმებამ ემთხვა, აღნიშნავს გაზეთი. ამ ფაქტს მარტო სიმბოლოური მნიშვნელობა როდი აქვს. ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას ასევე, მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესში, აკუმებენ გაწვლილი გზის შედეგებს, სახავენ კომუნიზმის მშენებლობის ახალ პერსპექტივებს.

ჩეხოსლოვაკია. ბუნებრივია, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი ჩვენს ავისმოდმოაც, ჩვენს იდეოლოგიურ მრწამალმდეგებსაც შეეხო, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო". მათ ახალი დამარცხება იგემეს. როგორც კი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციი მოხდა, ბურჟუაზიამ და ყველა ჯურის რევიზიონისტებმა ხელი მიჰყარეს თავიანთ ჩვეულებრივ საზოგადოებრიობის დაშინებას და პროლეტარიატის დიქტატურის ირსს ამახინჯებდნენ. რაღა არ მოსმახეს! რამდენი მილიონი სიტყვა წარმოთქვეს იმ თემაზე, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა დემოკრატიის ანტიპოდი იყოს! ახლა კი მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ყველაზე ჰუმანურ, კაცობრიობის ისტორიაში პირველ საერთო-სახალხო საკერძოწიფოს გზა გაუკვალა სწორედ პროლეტარიატის დიქტატურამ და რომ მხოლოდ მას შეეძლო გაეკვალა ეს გზა. საბჭოთა სახელმწიფო პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების შესრულების შემდეგ გახდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის იდეური ერთიანობისა და კავშირის სახელმწიფო, ყველა ერისა და ეროვნების მტკიცე მეგობრობისა და განუხრელი დაახლოების სახელმწიფო, ეშმარიტი და ფართო დემოკრატიის საელმწიფო.

აშშ. ერთ-ერთი უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა უწოდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას თვალსაჩინო ამერიკელმა მარქსისტმა — ისტორიკოსმა **გ. აპტეკერმა.** მეცნიერმა, რომელიც სათავეში უდგას ამერიკის მარქსისტული კვლევის ინსტიტუტს, საკრესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ძირითადი კანონი, რომელსაც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს იღებენ, სახავს საბჭოთა ხალხის მიერ მომშენებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ფაქტს, პროლეტარიატის დიქტატურად წარმოშობილი სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევას. კონსტიტუციის პროექტი ჯაზს უსვამს საბჭოთა ხალხების, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ძმური ოჯახის ერთიანობას. პროექტი განამტკიცებს ამ შესანიშნავ, გრანდიოზულ მიღწევებს და კიდევ უფრო აღრმავებს სოციალისტურ დემოკრატიას.

ამერიკელ მოქალაქეებს, თქვა გ. აპტეკერმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ის, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო ურთიერთობის მყარი სისტემა, რომელიც კაცობრიობისთვის უზრუნველყოფს შემდგომი საზოგადოებრივი პროგრესის საიმედო პერსპექტივას მშვიდობის, უშიშრებისა და თანამშრომლობის პირობებში.

თანამედროვეობის პრაქტიკული ამოცანა

სოციალიზმის საგარეო პოლიტიკის თეორიულ საფუძვლად დემოკრატიული მშვიდობის კონცეფცია თავისი ძირითადი ნიშნებით ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე შეიმუშავა, როგორც სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა. პოლიტიკურ მიზნად იგი საბჭოთა სახელმწიფომ დასახა თავის პირველსავე საერთაშორისო აქტში — ლენინურ დეკრეტში ხალის შესახებ. მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით და მთელი მოცულობით, ე. ი. საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემის შექმნის ამოცანად, რომელიც გამორიცხავს თვით ომის შესაძლებლობას, იგი ვერ იქნებოდა წამოყენები გარდამქმნელი საქმიანობის მთელი ფარი, მთელი შინაარსი სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა ამოცანების მთელი კოპლექსი დაბეჯითებით მოითხოვს მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშრობის განმტკიცებას. სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც მთელ თავიანთ მეცადინეობას ამბარენ აღმშენებლობითი მიზნის — კომუნისტური საზოგადოების აშენების — მიღწევას, მოსპეს ომით დაინტერესებული ექსპლოატატორთა კლასები და პრინციპულად გმობენ მისწრაფებას სამხედრო ექსპანსიისადმი სხვა ხალხების ხარჯზე რაიმე პრივილეგიების შესაძენად, ამით გადაგვიშალეს სრულიად ახალი ეარი ისტორიაში, მშვიდობისათვის მშრომელი კაცობრიობის ბრძოლაში, როცა ეს ამოცანა უკვე მარტო ჰუმანური მიზანი კი არ არის, არამედ ახალი საზოგადოების ისტორიული მოთხოვნილებაა.

სოციალიზმმა საქმით გვიჩვენა, რა გზით შეიძლება და როგორ უნდა ვადაიჭრას წარმატებით ისეთი პრობლემები, როგორიც არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და ყოველგვარი ფორმის ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, პიროვნების ნამდვილი ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისადმი ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში, იაპონიაში მშრომელთა მასების ბრძოლას თავიანთი ინტერესებისათვის აგრეთვე ახალი შინაარსი ენიჭება. იკი საზოგადოებრივი ცხოვრების სულ უფრო ფართო სფეროებს მოიცავს და ამავე დროს სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება განსაკუთრებულ მოძრაობის სოციალურ ამოცანებს.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური ფრონტის სათავეში დღეს მუშათა კლასი, მისი კომუნისტური პარტიები დგანან, რომლებიც ფართო დემოკრატიული ბანდადქმნების პროგრამას აყენებენ. ამ პროგრამის ძირითადი ღერძია დიდი სოციალურ-პოლიტიკური ბანდადქმნები, მონოპოლიათა ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშრობის განმტკიცების მოთხოვნები.

მშვიდობისათვის ბრძოლის იდეები დღეს მიღიონობით ადამიანს ეუფლება. მშვიდობისმოყვარე ძალების მოძრაობამ ამჟამად უდიდეს გაქანებას მიაღწია. იკი ნამდვილად მასობრივი მოძრაობა გახდა საერთაშორისო მასშტაბით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საწარმოო ძალების თანამედროვე განვითარება სულ უფრო მეტად აყენებს კაცობრიობის წინაშე ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა მას შეუძლია მხოლოდ საერთო მეცადინეობით, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. კოსმოსის, მსოფლიო ოკეანის ათვისება, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, ენერგორესურსების პრობლემათა გადაჭრა, ზოგიერთი სახეობის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა და მრავალი სხვა პრობლემა, რომლებიც ყველა ხალხსა და სახელმწიფოს ინტერესებს შეეხება, გადაჭრით მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობის ახალ ორგანიზაციას.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ" და გაზეთ „ასპაჰის" მთავარი რედაქტორის ს. ჯაკას კითხვებზე ამასწინათ გაცემულ პასუხებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეიქმნა ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა. — „საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი ხანიკი წლის მანძილზე ჩვენი საგარეო-პოლიტიკური კურსის მიზანია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშრობის უზრუნველყოფა. თავიდან ბოლომდინო ომის საფრთხე, შეიძლებოდა გამალებული ნაღმ-ტორპედოებისა და ავიაბომბების ბრძოლა, ატომური ბომბებიც ... ეს ... ეს ... ეს

ჩვენი სამშობლოს ჩემპიონები



ლამე ფლვაზე

ნ. სააკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

დაწინაურდა ლარსენი

ლუბლიანაში (იუგოსლავია) მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი — გამოჩენილი დიდოსტატის ბილან ვიდმარის ტრადიციული მემორიალი. მასში 16 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს, მათ შორის ახალგაზრდა საბჭოთა მოჭადრაკეები ციშკოვსკი და სავონი.

3 ტურის შემდეგ 2 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა ცნობილი დანიელი დიდოსტატი ლარსენი. ლიდერთა ჯგუფში არიან საბჭოთა დიდოსტატებიც: საკოს 2 — ქულა აქვს, ციშკოვსკის — 1,5 ქულა.

ფეხბურთი მიწურულში

სანფუანგოსში (კუბა) დასასრულს უახლოვდება დიდი კუბელი მოჭადრაკის ხოსე რაულ კაპაბლანკას მემორიალი.

14 ტურის შემდეგ 11 ქულით დაწინაურდა დიდოსტატი გ. გარსია (კუბა). მას ნაბეგური ქულით ჩამორჩებიან დორფმანი და დიდოსტატი ანდერსონი (შვეიცარია), რომელმაც ადრე ორჯერ გიმარჯვა კაპაბლანკას მემორიალებში.

20 ივნისს ლენინგრადში

20 ივნისს ლენინგრადში იწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მეტისმეტად ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. აქ ითამაშებენ მხოლოდ ცნობილი დიდოსტატები, სულ კი ტურნირში 18 მონაწილე იქნება.

შეჯიბრებაში ჩაებმება წამყვანი საბჭოთა მოჭადრაკეების დიდი ჯგუფი. მათგან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიოს ჩემპიონის ანატოლი კარპოვის მონაწილობა. კარპოვი ყოველთვის დიდი წარმატებით თამაშობდა, მაგრამ წლევანდელი სეზონი მაინც განსაკუთრებული იყო. მარტში ბად-ლაუტერბერგში (გფრ) მან გაიმარჯვა ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ღია ჩემპიონატში“, 15 შესაძლებლიდან დაუმარცხებლად მოაგროვა 12 ქულა. აპრილში ევროპის გუნდურ პირველობაზე მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონმა 5 პარტია ითამაშა და ხუთივე მოიგო. მასში ლასპალმასის (ესპანეთი) დიდ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში კარპოვმა 15 შესაძლებლიდან 13,5 ქულა მოაგროვა და 2,5 ქულით (!) გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ ლარსენს. ამრიგად მსოფლიოს ჩემპიონს წელს ნათამაშებ 35 პარტიაში არც-ერთი არ წაუგია, რაც იშვიათ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ლენინგრადში გამოვლენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები პეტროსიანი და ტალი, რამდენიმე უძლიერესი ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი, გამოჩენილი უცხოელი მოჭადრაკეები.

შეჯიბრება ერთ თვეს გასტანს.

ბელგეთი

ორი საერთაშორისო

დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში გულშემატკივრებს კვლავ საინტერესო სპორტული სანახაობა ელით. აქ გაიმართება ვაჟ ხელბურთელთა ორი საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრონიკაოს პრიზიორს — თბილისის „ბურევესტნიკსა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „სპენგ